# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— კვირა, 8 ოქტომბერი 1900 წ. № 1261

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



ელექტრონით
მოწყობილი
მსწრაფლად მბეჭდავი
**სტამბა**
წიგნების გამომცემელ
ქართველთა ამხანაგობისა
იღებს ყოველგვარ
სასტამბო საქმეებს
სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩ. მარტირუსოვის სახლში.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა.

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ა. მუღაინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი —10—2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი— თვალისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

გ. ლ. მარკევიჩი — სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ს. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი – შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი
(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი.



დაიბეჭდა და იყიდება
წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობის
კ ი ო ს კ შ ი
ზ. არაგვისპირელის
**პირველი წიგნი**
ფასი ათი შაური


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ოქტომბერი

**შანხაი.** ჩინეთის მოხელე, რომელიც ორშაბათს მოვიდა შანსიდან, ირწმუნება, რომ ქვრივი დედოფალი პრინც ტუანის ვავლენის ქვეშ იმყოფებაო. შემდეგ, იმავე მოხელემ ამბავი მოიტანა, რომ ხმა არის, ვითომც ჩინეთის ტახტის მემკვიდრე პუცუნი, პრინც ტუანის შვილი, მოკვდაო.

ხმა გავრცელდა, ვითომც ლიხუნჩანგისათვის ჩინეთის მთავრობას კვლავ წაერთმიოს თანამდებობა უცხოელებისათვის პაოტინფუს გადაცემის გამო.

**შანხაი.** უცხოელთა კონსულებმა გუშინ პროტესტი გამოუცხადეს სამხედრო უფროსთ, რომლებმაც ამას წინად ნება მისცეს ჯარებს—სამხედრო ვარჯიშობა მოეხდინათ არსენალის ახლო, საზღვარს იქით, რითაც ხელშეკრულობა დაარღვიეს. მეფის მოადგილეებმა გარდასწყვიტეს, რამდენადაც შეიძლება ეცადონ, რომ ამ გვარი შემთხვევები აღარ განმეორდნენ.

**ლორენცო-მარკეზი.** პრეზიდენტი კრიუგერი დღეს ჩაჯდა გემ „ჰელდერლანდ“-ში.

**ტიანძინი.** იმპერატორი, ორივე დედოფალი, ორი ხასა და პრინც კინგის მთელი ოჯახობა სინანფუში არიან. იმპერატორის ოჯახობის წასვლა პეკინიდან შეაფერხებს მოლაპარაკების წინსვლას.

ლიხუნჩანგმა უკმაყოფილება გამოაცხადა უცხოელთა ჯარების პაოტინფუსაკენ გალაშქრების შესახებ.

**პეკინი.** 3 ოქტომბრის ნოტაში, რომელიც ლიხუნჩანგმა და ცინმა გადასცეს უცხოელთა წარმომადგენლებს, სხვათა შორის გამოთქმულია მწუხარება ჩინეთში მომხდარ ამბებისა გამო და იმედიც, რომ ამ გვარი რამ ამიერიდან აღარ განმეორდებაო. მის შემდეგ, როდესაც გამორკვეული იქნება უმთავრესი საგნები, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედნონ მოლაპარაკებას, ნოტა თხოულობს—მიეცეს ნება ცუნგ-ლი-იამენს განაგრძოს თავისი მოღვაწეობა. ხოლო როდესაც გამოირკვევა ზარალის რაოდენობა და რამდენი უნდა უზღონ ჩინელებმა უცხოელთ, ნოტა თხოულობს, რომ მაშინ გაყვანილ იქმნან ჩინეთიდან უცხოელთა ჯარები.

ჩინეთის საზოგადოება ძალიან აამღვრია იმ ცნობამ, რომ კანტონის ახლო აჯანყება მომხდარა ჩინეთის დინასტიის წინააღმდეგ.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ 7 აგვისტოს სამხედრო სასამართლოს პორტ-არტურში გადაუწყვეტია სიკვდილით დასჯა ორის ჩინელისათვის, რომელთაც ბრალდებოდათ მოკრივეთა პროკლამაციების გავრცელება.

∝ ჩინეთიდან მოსულ ახალ ცნობებით მოკრივეების ჯგუფები ისევ წინანდებურად იქცევიან. ისინი არაჩვეულებრივის მხნეობით გროვდებიან დიდ-დიდ დასებად და სხვა-და-სხვა ადგილს თავს ესხმიან ევროპიელთ; ნამეტნავად სდევნიან ჩინელ ქრისტიანებს. მოკრივეთა მოქმედებამ ამ ბოლო დროს შესამჩნევად იჩინა თავი, უმეტესად ჩინეთის სამხრეთ ნაწილში, სადაც უმთავრესად თავი აქვთ მოყრილი საფრანგეთის ჯარებს, რომელთაც ამ უკანასკნელ ხანში არა ერთი შეტაკება ჰქონიათ ჩინელებთან.

∝ «ინდეპანდანს ბელჟ»-ი იტყობინება, რომ გენერალი მაკსელი დაუნიშნავთ ტრანსვაალის გუბერნატორად. მას მიცემული აქვს უფლება ყველა საადმინისტრაციო წარმოებისა და უფლება დანიშვნისა იმ აფიცერთა, რომელთაც მოვალეობად აძევთ კანონთა შესრულება ტრანსვაალის ყველა ოლქებში. ამავე გუბერნატორს აქვს ნება შესცვალოს აწ არსებული კანონები, როდესაც კი ამისი საჭიროება აღმოჩნდება.

∝ «დაილი მაილ»-ის სიტყვით, ეხლა ინგლისში გაიგზავნა დიდი რიცხვი დოკუმენტებისა, რომელნიც ხელთ უგდიათ ტრანსვაალის არქივებში კრიუგერის წასვლამდე.

∝ პრეზიდენტ კრიუგერის დაბადების დღეს კრონიესა და სხვა დატყვევებულ ბურებს გაუგზავნიათ მისთვის წმ. ელენეს კუნძულიდან მილოცვის დეპეშა. ბურების დამოუკიდებლობის დაცვის პარიზულმა კომიტეტმაც, რომელსაც ეხლა 125,000 წევრამდე ჰყავს, გაუგზავნა აგრეთვე კრიუგერსა და შტეინს ამნაირი დეპეშა:

«თქვენის დაბადების დღეს ჩვენ მოვალეობად გვთვლით მოგმართოთ თქვენ და გამოგიცხადოთ ჩვენი მხურვალე თანაგრძნობა და სურვილი გამარჯვებისა თქვენს წმიდა საქმეში, რომლიც თქვენ თავს იდევთ და რომლიც გაუმნებთ თქვენ ცივილიზაციის ისტორიის პირველ რიგებში.

გადაეცით თქვენ ერს, რომ მთელი ქვეყნიერობა გაკვირვებულია მისი გულადი წინააღმდეგობით, ქედს იხრის მისი მხნეობის წინაშე და სწამს საბოლოო გამარჯვება დაწყებული ბრძოლისა».

ამ დეპეშაზედ ტრანსვაალის პავილიონში ტროკადეროში ხელი მოაწერეს 102,180 კაცმა. გერმანიელ და ჰოლანდიელ კომიტეტებმაც გაუგზავნეს კრიუგერს ამნაირივე დეპეშები: მათ მოაგროვეს 1 მილიონი ასი-ათასი ხელის მომწერი.

∝ როგორც იუწყებიან ბომბეიდან, დამშეულთა რიცხვი, რომელთაც ეძლევათ შემწეობა მთავრობისაგან, შემცირდა და დავიდა 2,746000 კაცამდე.

ბომბეის პროვინციაში ერთ კვირაში—22 სექტემბრიდან 29-მდე, 6716 კაცი გახდა ავად ხოლერისაგან, აქედან 438 კაცი მოკვდა.

∝ ინგლისურმა გაზეთებმა საშინელის ეჭვის თვალით შეხედეს დალაილამის მისვლას ტიბეტიდან რუსეთში. ისინი აქაც ლიხუნ-ჩანგის ინტ-

რაგებსა ჰხედვენ. ტიბეტი, სჯიან ინგლისური გაზეთები, არა თუ იმყოფება ჩინეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში, ამ სიტყვის ჩვეულებრივის აზრით, არამედ მთელი მისი ადმინისტრაციული წეს-წყობილებაც იმყოფება განსაკუთრებით ჩინეთის მოხელეთა კონტროლის ქვეშ. დალაი-ლამა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცნობილია როგორც ნახევარ-ღმერთი,—უღონო ხელმწიფეა, რომელიც იძულებულია დაემორჩილოს ყოველ ბძანებას, მოსულს ჩინეთიდან. ჩინელი მოხელეების ჯიუტი წინააღმდეგობა რომ არ ყოფილიყო, ტიბეტსა და ბრიტანიის ინდოეთს შუა, ინგლისელების აზრით, დიდიხანია გაიმართებოდა ფართო ალებ-მიმცემობა. ჩინელები იქამდე მიდიან კითომ, რომ ანგრევენ გზებს, ტიბეტიდან ინდოეთის საზღვრამდე მიმავლებს. «არაფერი ეჭვი აღარ არისო,—ამბობს ერთი გაზეთი,—რომ განსაკუთრებითი წარმომადგენლის გაგზავნა დალაი-ლამისაგან პეტერბურგში არის ახალი ნიშანი ლიხუნ-ჩანგის მადლობის გადახდისა აქამდე მიღებულ ღ მომავალში მოსალოდნელს წყალობათათვის რუსეთისაგან. დალაი-ლამა ისევე ვერ გაჰბედავდა რომელიმე უცხო ქვეყანასთან მეგობრობას ჩინეთის ნებადაურთველად ღ მისგან დარიგების მიუცემლად, როგორათაც ვერ გაჰბედავდა თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ყოველ შემთხვევაში, ინდოეთის მთავრობა მოვალეა ფხიზლად ადევნოს თვალი ტიბეტის საქმეებსა».

∝ ბოლოდროინდელი ცნობები ფილიპინებიდან, რომელნიც მიღებულ არიან,—უნდა სწორედ ვსთქვათ—ფილიპინელების წყაროებიდან, გვატყობინებენ, რომ წინააღმდეგობა მკვიდრთა ძლიერდება და რომ მათ გაუმარჯვნიათ რამდენიმე ბრძოლაშიაც. პროვინცია კავიტეში ნიადაგ ბრძოლაა. ფილიპინელები დასცემიან რამდენიმე ადგილს, ამერიკელ ჯარებისაგან დაკავებულს. ორს ბრძოლაში ბისოლთან ამერიკელთ დაჰკარგვიათ 100 კაცამდე. პროვინციას ლაგუნაში მკვიდრთ დაამარცხეს სამი ამერიკელი რაზმი. ბალერში დაემორჩილა აჯანყებულებს ამერიკელი მეციხოვნე ჯარი—200 კაცი, მაგრამ განთავისუფლებულ იქმნა. სანალოანში მოხდა ბრძოლა, რომელშიაც ამერიკელთ დაჰკარგეს 180 მაცი. მორჩილება გამოაცხადა ამერიკელმა მეციხოვნე ჯარმა სანტა-კრუს და მარანდუკში. ამ უკანასკნელ ოთხი თვის განმავლობაში ამერიკელთ დაჰკარგეს სხვა-და-სხვა შეტაკებაში 268 კაცი, მკვიდრთ კი მხოლოდ—105. ფილიპინელების მთავრობამ უარ-ჰყო ადგილობრივი თვით-მმართველობა, რომელსაც იძლეოდნენ ამერიკელები და აგრეთვე პატიება, რომელიც გამოაცხადა გუბერნატორმა მაკ-არტურმა. ფილიპინელთ სთხოვეს გარიბალდის შვილს, რიჩიოტის, რომ მას მოეწყო ცალკე «გარიბალდელთა ლეგიონი» ამერიკელებთან საბრძოლველად. რიჩიოტიმ უარი შემოუთვალა ამაზედ: თუმცა მას სურვილიცა აქვს იბრძოლოს ამ წმიდა საქმისათვის, მაგრამ არ შეუძლიან, რადგანაც იგი ამერიკელი მოქალაქეა. მაინცა და მაინც წინააღმდეგობა ფილიპინელთა ძალიან მედგარია, ამერიკელთ კი ამდრომდე ვერა მოახერხეს რა მათი ჯიუტობის შესამუსრავად. ეს მშვენიერი მაგალითია იმის დასამტკიცებლად, თუ რა ძნელი საწარმოებელია ომი უცხო, თავისებურ და მტრულ ქვეყანაში. ესევე ხდება ამ ჟამად ჩინეთში.

∝ ნიუ-იორკის ერთი გაზეთის კორრესპონდენტი ასე ახასიათებს პრეზიდენტის ამორჩევების საქმეს თავის წერილში 19 სექტემბერს:

საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც აქამდისინ უფერულად მიდიოდა, ამ ბოლო დროს ცოტათი სიცოცხლე დაეტყო. თუმცა ჯერ არ მიუღწევია იმ წერტილამდე, როგორც წინანდელ არჩევნებში. ბ-ნმა ბრაიანმა შემოიარა ჩრდილოეთ-დასავლეთის შტატები, ყველგან სიტყვა წარმოსთქვა და შემდეგ წავიდა აღმოსავლეთისაკენ. 3 ოქტომბერს იქნება «მეტოქეთა მხარეში», როგორც ის უწოდებს ნიუ-იორკს; იქაც სიტყვას წარმოსთქვამს. ტამმანი გოლლი დიდს სამზადისშია დემოკრატთა კანდიდატების პატივსაცემლად: ქუჩებში გამართავენ ტრიბუნებს ორატორთათვის. მიწვეული იქნება მუსიკა, აუშვებენ შუშხუნებს და მოართავენ სახლებს. ბ-ნი ბრაიანი წარმოსთქვამს სიტყვას ნიუ-იორკის უდიდესს დარბაზში, უეჭველია, «Cooper Union»-ში.

ბ-ნმა კროკერმა, ტომმანი გოლლის წინამძღოლმა, უეჭველია, ფეხზე დააყენა «თავისები» იმიტომ, რომ პოლიტიკურ საქმეებს სუყველაზე კარგად აკეთებენ ისინი, ვისაც გავლენა აქვს ნიუ-იორკის დემოკრატიაზედ.

გუბერნატორმა რუზველტმა უკვე სამი კვირაა თავი მიანება სამსახურს; ის სცხოვრობს ვაგონში; იქ სვამს, სჭამს და სძინავს. მან მოიარა 8,500 მილი, ზოგ ალაგას ერთ დღეს თორმეტჯერ წარმოსთქვა სიტყვა. ადვილი მისახვედრია, რომ დასავლეთის შტატების მიყრუებულ დაბებში ისეთი კაცის მისვლა, როგორც გენერალი რუზველტია, დღესასწაულს შეადგენს. მცხოვრებლები მიეშურებიან რკინის გზის სადგურებისაკენ, ისე რომ გენერალს აღარ სჭირდება კრების დარბაზში მოწვევა საზოგადოებისა. ის იქვე, სადგურზედვე, ათავებს თავის საქმეს. მართალია, სამთო-სამრეწველო დაბებში ზოგჯერ მსმენელთა მიმართულება არ ეთანხმება ხოლმე აგიტატორთა აზრებს, მაგრამ გაცხარებულ ბრძოლის დროს ისინი ვერ ამჩნევენ ამას, და ბ-ნი რუზველტი დარწმუნებულია, რომ უკვე მოიპოვა ვიომინგის, უტის, კანზასის და კოლორადოს ხმები თავისი პარტიისათვის.

# ახალი ამბავი

✦ გუშინ, 7 ოქტომბერს, ტფილისის საბჭოს დარბაზში, ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელის ივ. ბეს. საგინაშვილის თავმჯდომარეობით, მოხდა **საგანგებო კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.** თავდაპირველად კრებას მოხსენდა ადგილ-მამულის სახელმწიფო გადასახადის ახალი კანონი და აგრეთვე უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ ეპატიათ საეროზო გარდასახადის „ნედოიმკები“. საგანგებო კრებამ გადასწყვიტა უქვეშევრდომილესის ადრესის მირთმევით მადლობა გამოუცხადოს მოწყალებისათვის ხელმწიფე იმპერატორს. შემდეგ კრებას მოხსენდა, რომ სათანადო მთავრობამ არ დაამტკიცა წარსულ კრების არჩევნები გუბერნიის წინამძღოლისა; ამიტომ ხელახლად უნდა მოხდეს არჩევნები კანდიდატებისა ამ თანამდებობებზეო. სიღნალის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლობაზე კენჭი იყარეს: 1) თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილმა, რომელმაც მიიღო 21 თეთრი და 1 შავი, 2) თავ. მ. რ. ვაჩნაძემ—18 თეთრი და 4 შავი, 3) მ. ა. ვაჩნაძემ — 12 თეთრი და 10 შავი. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანანდებობაზე კენჭი იყარეს: 1) თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა, რომელმაც მიიღო 99 თეთრი და 1 შავი და 2) თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა, რომელმაც მიიღო 79 თეთრი და 21 შავი. ამ რიგად, სათანადო მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად კანდიდატები: სიღნალის მაზრის წინამძღოლობაზე—თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი და თავ. მ. რ. ვაჩნაძე; გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლობაზე—თავ. დ. ზ. მელიქიშვილი და თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაამთავრა განხილვა **მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა** და მალე წარუდგენს მას საბჭოს. ხარჯთ-აღრიცხვის პროექტით ქალაქს უნდა შემოუვიდეს: უძრავ ქონებათა გადასახადის—464,697 მან., სავაჭრო და სამრეწველო დოკუმენტების—125,057 მან., კერძო პირთა ეკიპაჟებისა და ცხენებისაგან—33,942 მან., სხვა-და სხვა ბაჟისა—20,702 მან., ქალაქის მამულებისა და იჯარების შემოსავალი 72,396 მან., ქალაქის შენობათა და საქმეებისაგან—435,559 მან., შემწეობა ქალაქს და დასაბრუნებელი ხარჯი—142,000 მან. ღ სხვა-და-სხვა შემოსავალი—27,416 მანათი. სულ კი მოსალოდნელია 1,325,209 მ.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გადაუწყვეტია მიიწვიოს 15 ოქტომბრისათვის, მომავალ სამეურნეო გამოფენის პროგრამის განსახილველ კრებაზე, ადგილობრივ **ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლნი.** საბჭოს განზრახვა აქვს განსაკუთრებული ადგილი დაუთმოს მომავალ გამოფენაზე ადგილობრივ პრესსას, რათა გააცნოს საზოგადოებას ჩვენის ქვეყნის პერიოდული ლიტერატურის ზრდა-განვითარება. სხვათა-შორის განზრახულია იქვე, გამოფენაზე, საზოგადოების თვალ-წინ ამოაწყონ და დაჰბეჭდონ გაზეთი.

✦ ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ტფ. ქალაქის თავს, რომ ქალაქის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მიეცეს ქალაქს ნება დააარსოს **საქალაქო სასწავლებელი** და დააწესოს ტფილისის საქალებო გიმნაზიებში **სტიპენდიები** მ. ი. უ. დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის სახელობაზე, წარედგინა კავკასიის მთავარმართებელს 1899 წლის 21 თებერვალსა და რომ მთავარმართებელმა მოუხერხებლად დაინახა ამ საგნის შესახებ უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძრაო.

✦ ამ დღეებში უეცრად გარდაცვალებულის ექიმის მ. პოკროვსკის გვამის გაჭრამ და გასინჯვამ აღმოაჩინა **მოწამვლის ნიშნები.** ბეჯითი გამოკვლევის მოსახდენად გვამის შიგნეული გაიგზავნა სამხედრო-საექიმო ლაბორატორიაში, ხოლოდ საქმის გამოძიება პოლიციამ გადასცა გამომძიებელს. („კავკაზ“).

✦ როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ, მარგანეცის მწარმოებელთა საბჭოს განსაკუთრებული **ყურადღება მიუქცევია ჭიათურის ქსენონისათვის.** ამ ჟამად ქსენონის შენობას უპირებენ შეკეთებას და გაჰყავთ გზა-ტკეცილი, ურომლისოდაც ქსენონი ძალიან მიუსავალ ადგილას იყო. ეჭვს გარეშეა, რომ გზა-ტკეცილის გაყვანის შემდეგ უფრო ადვილად ისარგებლებს მუშა ხალხი წამლებით და ექიმის რჩევა-დარიგებით. მარგანეცის მწარმოებელთა საბჭოს სატეხნიკო მრჩეველად დაინიშნა ინჟენერი მიხაილოვი.

✦ სოფელ აკურიდან (თელავის მაზრა) გვწერენ: წელს ამ სოფელშიაც, როგორც სხვაგან, **მოსავლის** მხრივ ვერ იყო კარგი წელიწადი. მართალია, ყანები კარგი იყო, მაგრამ ლეწვაში ულალატა, ესე იგი მშიერი და ნამისაგან ჩაშავებული მარცვალი გამოდგა, ასე რომ მომეტებულ რიცხვთ არ მოუვიდათ სამყოფი პური მთელი წლისა; მაგრამ ამ დანაკლისს შეამსებს სიმინდი, რომელიც უხვად მოვიდა და რომლისაგანაც გლეხს იმედი აქვს. ვისაც ერთი დღის სიმინდი ჰქონდა, იმდენი მოუვიდა, რომ სასიმინდეებს აწვნევინებს შესანახად და ვისაც კიდევ ბევრი ჰქონდა, მან ხომ არ იცის, როგორ შეინახოს, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც საკვები ძვირადა ფასობს ამ სოფელში. ეს მით აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, სიმინდმა უნდა შეამსოს პურის დანაკლისი და, მეორეთი კიდევ, ისევ სიმინდმა უნდა გაუწიოს ღორს ტყის მაგიერობა, რომელშიაც წელს ვერც კი შერეკავენ ხილის უმოსავლოაისა გამო. ღვინის მოსავალი, ხომ საკითხი აღარ არის, როგორც გაზაფხულზე ჰქონდა ვენახებს პირი, ისე რომ ბოლომდი ჰქონოდა, აქაურ გლეხ-კაცობის ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფდა, მაგრამ მილდიუმ და ნაცარმა ისეთი დღე დააყენეს, რომელთაც ხელს უწყობდნენ ავდრიანი დღეები, რომ ბევრ ვენახში ეხლაც შეხვდებით დაზვირთულ ვაზებს, დამჭკნარ და დაფშრუკულ მტევნებით, რომლებიც ისე გამოიყურებიან გამხმარ ვაზებიდან, თითქოს პატრონს ეუბნებიან: „არ შემწამლე და მეც არ მოვიწიეო“ მაგრამ პატრონს განა შეწამლა დააცალა ავდარმა, რომელიც მთელი გაზაფხულის და ზაფხულის განმავლობაში არ შეწყვეტილა?!

✦ „ნოვ. ობოზ.“ ატყობინებენ, რომ ტფილისის საბრეშუმო სადგურის გამგე ნ. ნ. შავროვმა, რომელიც გაგზავნილი იყო შავი ზღვის პირის ადგილებში პენოის ნაწილის დასათვალიერებლად, წარუდგინა სადაც ჯერ არს თავისი **აზრი დათვალიერებულ ადგილებში თუთის ხის გაშენების შესახებ.** რადგანაც ამ კითხვას შავი ზღვის პირისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ბ-ნი შავროვი შუამდგომლობს გაიგზავნოს პენოის ნაწილში მეაბრეშუმეობის და თუთის მოშენების მცოდნე მოსამსახურე ტფილისის საბრეშუმო სადგურიდან, რათა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის გაავრცელოს საჭირო ცოდნა.

✦ იმავე საეპარქიო მმართველობის ხარჯით დაარსდა კუკიაში, რკინის გზის სადგურის ახლოს, **რვა სამრევლო-საეკლესიო სკოლა,** რომლებშიაც უკვე მიუღიათ 800 მოსწავლე.

✦ დღეს, 8 ოქტომბერს, იხსნება **ორი საკვირაო სკოლა:** ერთი ხარფუხისა და მეორე კუკიის სამრევლო-საეკლესიო სასწავლებლებთან.

✦ საეპარქიო მმართველობის ხარჯით გაიხსნა **სამრევლო-საეკლესიო სკოლა** ქალებისათვის ავლაბრის წმ. მარინეს ეკკლესიასთან.

✦ 10 ოქტომბერს, გენ-ლეიტ. ფრეზეს თავმჯდომარეობით, მოხდება საზოგადო კრება რუსეთის **საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების** წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი განყოფილების არსებობის 50 წლის იუბილეის დღესასწაულობის შესახებ.

✦ ქალაქის სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა წინადადება მისცა ქალაქის ყველა ექიმებს მოახდინონ თავიანთ რაიონებში **სანიტარული რევიზია** სასტუმროების, რესტორანების, ყავახანების და სხვა ამ გვარ დაწესებულებათა და რევიზიის შედეგი აცნობონ მას საჭირო ზომების მისაღებად.

✦ 5 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ალსტაფაზე, საღამოს $9^1/_2$ საათზე, ტფილისიდან მიმავალ საქონლის მატარებლის № 101 კონდუქტორს დავით მელაძეს თურმე მატარებლიდან ნაბადი გადაუვარდა. როცა მატარებელი სადგურზე გაჩერდა, მელაძე გაბრუნდა ნაბდის საპოვნელად. ამ დროს გზაში შეეხეჩნენ სამი თათარი, მისცვინდნენ დასჭრეს მძიმედ ხანჯლით და მიიმალნენ. დაჭრილის ყვირილი გაიგონა გზის დარაჯმა და სადგურზე შეატყობინა. დაჭრილი განჯის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ტფ. საქალაქო სასანიტარო საექიმო ინსპექტორის ცნობებით, ტფილისში სექტემბრის განმავლობაში სულ 27 კაცი გამხდარა ავად სხვა და სხვა გადამდებ სენით; მათგან: ქუნთრუშით—9 კაცი, კუჭის სახადით—8, დიფტერიტით—4, მუცლათი—1, ქოთაოთი—1 ყელჭირებით—1, ჭლექით—1, და წითელი ქარით—2 კაცი.

✦ ტფილისის პოლიციის მეექვსე განყოფილებაში ცხენების დასინჯვის დროს ვეტერინარს ბ-ნ დედაბრიშვილს აღმოუჩენია ერთი **ქოთაოთი** ავადმყოფი ცხენი, რომელიც პატრონის თანხმობით მოუკლავთ.

# თეატრი

**ოპერა.** ბოროდინის მუსიკალური ოპერა „თავადი იგორი“, რომლის აღსრულებას შარშან აღტაცებაში მოჰყავდა ტფილისელები, გუშინ წინ, 6 ოქტომბერს, სრულიად დაამახინჯეს სახაზინო თეატრში. უმთავრესი როლების აღმასრულებელნი, ქ-ბნ ასტაფიევას გარდა, რომელიც მღეროდა იაროსლავნას პარტიას, მეტად სუსტები იყვნენ. თავად იგორის როლს ასრულებდა ბ. სვეტლოვი; მას თუმცა ხმა კარგი აქვს, მაგრამ თამაშის ძალიან ცოტა გაეგება, ასე რომ უმთავრესი როლი პიესისა უფერულად იქმნა აღსრულებული. ოპერის მეორე უმთავრესს როლს—ვლადიმერ გალიცკისას ასრულებდა ბ. სიბირიაკოვი. ამ არტისტსაც კარგი ხმა აქვს, მაგრამ ამ საღამოს ხმა წასულოდა და სიმღერის მაგიერ მისგან ჩურჩული გვესმოდა; ამის გამო ოპერიდან გამოტოვებული იყო მეორე მოქმედების მშვენიერი დუეტი იაროსლავასთან. კონჩაკოვნას პარტიას უგემურად მღეროდა ქ-ნი პლატონოვისა; ამ არტისტ-ქალის დაბალი რეგისტრი იმდენად ბოხია და ულაზათო, რომ მეტად ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე მთელი მისი სიმღერაც. ვლადიმერ იგოროვიჩის პატარა როლს არ ახდენდა ბ. ერნსტი, მაგრამ მას სუსტი ხმა აქვს და, რაც უნდა ეცადნა, კარგ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა მაყურებლებზედ. დანარჩენ როლების აღმასრულებელნიც კოჭლობდნენ,—ასე რომ საზოგადო ანსამბელი მეტად სუსტი იყო.

# საღამოს დეპეშები

7 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: პაპის კარის მინისტრ-რეზიდენტს ჩარიკოვს ებრძანა იყოს საგანგებო ელჩად და მინისტრად სერბიის მეფესთან.

**ვენა.** გაზეთი „პოლიტიშე კორესპონ“-მა გაიგო, რომ სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ იაპონის მთავრობის წინადადება, რომლით მოლაპარაკების გასაადვილებლად უცხოელთა წარმომადგენლებს პეკინში უნდა ებძანოს ერთად და თანხმობით იმუშაონ. ეს წინადადება მოსწონთ, რადგანაც მას შეუძლიან სარგებლობა მოიტანოს.

**ჰონკონგი.** მანდარინი სამშუე იტყობინება, რომ ადმირალი ხო თავს დაეცა მეამბოხეთ, რომელთაგან ასი კაცი მოკლულია. მეამბოხეებმა დაიწიეს აღმოსავლეთის მდინარის ჩრდილოეთით. კანტონიდან იტყობინებიან, რომ აღმოსავლეთ მდინარის რაიონში ამბოხება ძლიერდება და ძალიან წააგავს ტიპინგების აჯანყებას. მისიები ჯერ უვნებლად არიან.

**ლონდონი.** გენერალი გეზლი დეპეშით იუწყება 1-ლ ოქტომბრის თარიღით ჯოჯოუდან, რომ ქვეყანა დაწყნარებულია; იქაური ხალხი მეგობრულად იქცევა; ჩინეთის მუდმივი ჯარები უკან იხევენ; საკვები სურსათი ბლომათ აქვთ; ადგილობრივი მოხელენი ცდილობენ, რაც კი შეუძლიანთ, „დიდი უშტის“ მოსპობას.

გენერალ კემბელი, რომელიც მოქმედებს ტიანძინის მხრივ ერთად გეზლის ექსპედიციასთან პაოტინფუს წინააღმდეგ, იტყობინება 30 სექტემბრის თარიღით, რომ ის მივიდა ტინლინში. ყველაფერი კარგადაა, ქვეყანა დამშვიდებულია; ჯარები ძალიან ჯანზე არიან; სურსათი საკმაოდა აქვთ. შემდეგ ის იუწყება, რომ 1 ოქტომბერს მან მიატანა ზანძიძკოუს. პირველი ნაწილი გზისა ძნელი გასავლელი იყო ხშირი წვიმების გამო; ადგილობრივ მოსახლეებს ბლომად მოაქვთ საკვები სურსათი. 2 ოქტომბერს, ჩქარი სიარულის შემდეგ, რომლის დროს გაიარა 22 მილი, მან მიაღწია გამაგრებულ ქალაქა მოჯოუს, დაიჭირა ტყვედ 20 ცხენოსანი კაცი „დიდი მუშტისა“ და დაიჭირეს დიდი რიცხვი ჯორებისა და ცხენებისა. ჯარები მშვენივრად მიდიოდნენ; ჯანზედ კარგად არიან, სურსათი საჭიროზედ მეტიც აქვთ. 3 ოქტომბერს რაზმი მივიდა შანმანროში. ყველაფერი კარგად იყო. 2000 კაცმა ჩინეთის ცხენოსან ჯარისამ უბრძოლველად დაიხია სამხრეთისაკენ.

**პეტერბურგის ბირჟა 6 ოქტომბ.**

| | მყიდველ-ნი. | გამყიდვე-ლნი. | გარიგე-ბანი. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96 1/4 |
| 4 1/2 % შინაგანი სესხი 1893 წ. | — | 99 1/2 | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 96 7/8 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 331 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 281 1/2 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 213 3/4 |
| 3 1/2 % გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 88 1/4 | — |

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | 93¼ |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | 85½ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | 101½ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . . | — | 95½ | — |
| 5%/% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | 92⅞ |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | 85½ | — | — |

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

# გამოსადეგი ცნობანი

## ნიხრი

| | |
|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. 8½ გ. |
| სუკი . . . . . . . | » — 15 გ. |
| » ცხვრისა . . . | » — 8½ გ. |
| » ღორისა . . . | 1 — 8 გ. |
| » კამეჩისა » » | » — 8 გ. |
| » ღორის ზარგალი სალორჯითი . | 1 » — 10 გ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს ის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | გ. |
| » » | II | » » | 3½ | » |
| » » | III | » » | 3 | » |
| იგივე თორნის | I | » » | 5 | » |
| » » | II | » » | 4 | » |
| » » | III | » » | 3½ | » |
| ლავაში კვ. მამ. | I | » » | 6 | » |
| » » | II | » » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კოკზაღზე: | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | გ. | მ. | გ., |
| | 1 | 1 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | კაპ. | |
| ქერი . . . . . . | 1— | მ.—70 | გ. | |
| სიმინდი . . . . . | 1— | 65 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. . | 1 | 1 —20 | — | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 51 | — | 10 |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 50 | — | — |
| კარტოფილი.. . . | 1 | — 55 | — | — |
| ხახვი . . . . . . | 1 | — 30 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — 25 | — | — |
| ბზე. . . . . . . | 1 | — 23 | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საყ საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 გ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპ-დან 4 მ. 60 გ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე ხარი შესაბმელი, 40 მ., კამეჩი 60 მ., კამეჩი საკლავი 26 მ.-დან 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. — გ. | | № 4—6 მ 75 გ |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 გ. ქერი როსტოვში 53 გ. 53 გ.-მდე, ნოვოროსსიაში 54 გ. 55 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 გ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 90 გ. „ ფშხვნილი „ 5 „ »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 6 მ. 20 გ. 8მ. 20 გ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 45 გ.—4 მ. 15 გ., გარეცხილი— მ. 8 მ. გ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — გ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** **ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუგურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონ ფონ-ტიზენგაუზენისა და გაჯიბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი №** 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი №** 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე —საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ., სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საადგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს. საღ.

საადგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი საღამ. 1 ს.

საადგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობის კანტორაში ისტორიული რომანი ბატონიშვილის ცხოვრებიდან — ივ. ჯავახისა.

დედოფალი

თარგმ. თ. სახოკიას მიერ. გამოცემ. ამხ. ნაწილობის.—ფასი 1 მან.—ვინც ერთად აიღებს ათი ცალის წიგნი დაეთმობა 80 კაპ.

წარსული წლების ჟურნალი

მოამბე

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან., ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალის „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალის

მოამბის

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журн. „Моамбе“

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობის გამოც. წიგნები

იყიდება კანტ.-ში—ქვემოთის პირობებით.


გამომც. გ. ჯუნია